



მცხეთა - მთიანეთის
საინფორმაციო
ცენტრი



10.01.2013 16:00

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [სტატიები](#) » ხდის ხეობას საფრთხე ემუქრება

ხდის ხეობას საფრთხე ემუქრება

2013.01.10 | 13:02 წათია
დანელიშვილი

Like

Tinatin Mosiashvili, Kety Gujaraidze and 63 others like this.



0

Tweet 0

Share



ყაზბეგში, ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა „წითელ წიგნში“ შეტანილ ბუნების ძეგლს - ხდის ხეობას, ასევე მის ფლორას და ფაუნას საფრთხეს უქმნის. დასკვნის ავტორი გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაა“. ორგანიზაცია მდინარე ბროლისწყალზე (ხდისწყალი, ქისტურა) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის შეჩერებას ითხოვს.

ყაზბეგის რაიონში, მდინარე თერგის მარჯვენა შენაკადზე, ბროლისწყალზე, 6 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას შპს „ყაზბეგი ჰესი“ გეგმავს. პროექტის თანახმად, „ბროლისწყლის ჰესის“ საპროექტო ტერიტორია განთავსებული იქნება ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან რამდენიმე ასეულ მეტრში. „ბროლისწყლის ჰესი“ დერივაციული ტიპის ჰესი იქნება და „დარიალის ჰესის“ მსგავსად, ითვალისწინებს დერივაციის მონაკვეთში (1 კმ-ზე მეტ მანძილზე) მდინარეში მხოლოდ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვებას.

„ბროლისწყლის ჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას, ს/ს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის მემორანდუმი 2012 წლის 13 ივლისს გაფორმდა. მემორანდუმი მდინარე ბროლისწყალზე არაუმცირეს 5 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას გულისხმობს. მემორანდუმის თანახმად, მშენებლობა 2012 წლის 10 ოქტომბერს დაიწყო და 2013 წლის 16 აგვისტოს უნდა დასრულდეს. ინვესტიციის სავარაუდო მოცულობა 3 მილიონი აშშ დოლარია.

„მწვანე ალტერნატივაში“ მიიჩნევენ, რომ პროექტის გარემოზე ზეგავლენა შესწავლილი არ არის, გზმ-ს ანგარიში უხარისხოა, ანგარიშის ნაწილი კი სხვა დოკუმენტებიდანაა კოპირებული.

„ყაზბეგი ჰესის“ დაკვეთით, გზშ კვლევა ჩაატარა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა „თბილწყალგეომ“. ანგარიში მომზადდა დაახლოებით 15-21 დღეში. ასეთ მოკლე ვადაში გზშ-ს ჩატარება აბსოლუტურად არარეალური და ეს ანგარიშის ხარისხზე პირდაპირ აისახა. არ არის სრულფასოვნად გამოკვლეული ზეგავლენის წყაროები, არ არის დადგენილი პროექტის შესაძლო ზემოქმედების შედეგად გარემოში მოსალოდნელი ცვლილების სახე, ხასიათი, სიდიდე, ალბათობა, ზემოქმედების არეალი, ხანგრძლივობა და შექცევადობა. არასრულფასოვანია შემარბილებელი ღონისძიებები. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პროექტის გარემოზე ზეგავლენა ფაქტობრივად შესწავლილი არ არის,“ - აღნიშნულია დოკუმენტში, რომელიც „მწვანე ალტერნატივამ“ შენიშვნების სახით შპს „ყაზბეგი ჰესს“ წარუდგინა.

გარემოსდამცველების შეფასებით, ჰესის აშენება ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - ლანდშაფტის შეუქცევად დეგრადაცია – განადგურებას გამოიწვევს.

„ჰესის აშენების შემთხვევაში, წყლის გარეშე დარჩება მიმზიდველი ჩანჩქერები ხდის ხეობის დასაწყისში. ეს გამოიწვევს ლანდშაფტის შეუქცევად დეგრადაცია-განადგურებას,“ - ნათქვამია დოკუმენტში და იქვე აღნიშნულია, რომ პროექტი უარყოფითად იმოქმედებს ტურიზმის განვითარებაზეც: „ხდის ხეობას უნიკალური სილამაზის გამო ბევრი ტურისტი სტუმრობს. ჰესის აშენების შემთხვევაში, ხეობა დაკარგავს მიმზიდველობას, რაც ცუდად აისახება ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე, დაცული ტერიტორიებისა და ტურისტული კომპანიების შემოსავლებზე. ხდის ხეობა წარმოადგენს ალპინიზმისთვის ძალზე პოპულარულ და მნიშვნელოვან ადგილს,“ - აცხადებენ „მწვანე ალტერნატივაში“.

ორგანიზაციის შეფასებით, პროექტი უარყოფით ზეგავლენას საპროექტო არეალში მცხოვრებ, „წითელ ნუსხაში“ შეტანილ წავსა და ტბის კალმახზეც მოახდენს, თუმცა ამაზე გზშ ანგარიშში არაფერია ნათქვამი.

„გზშ ანგარიშში არ არის აღნიშნული, რომ საპროექტო არეალში ბინადრობს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი წავი Lutra lutra. შესაძლოა, ამ საკითხის გამოტოვება განპირობებული იყოს იმით, რომ სწორედ ამ სახეობაზე აქვს პროექტს ყველაზე მეტი ზეგავლენა. შესაბამისად, არ არის მოცემული ამ სახეობაზე ზეგავლენის შერბილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ანგარიშში აღნიშნულია, რომ მდინარეში ბინადრობს „წითელი ნუსხის“ სახეობა მდინარის/ტბის კალმახი (Salmo fario), თუმცა, არაფერია ნათქვამი ამ სახეობაზე პროექტის ზეგავლენის შესახებ. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ბინადრობს არაერთი იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობა, რომლებსაც კანონმდებლობა იცავს, თუმცა, არ არის შესწავლილი ჰესის ფუნქციონირების შედეგად ამ სახეობებზე ზეგავლენა, ისინი საერთოდ არ განიხილავენ მდინარის მნიშვნელოვანი ნაწილის პრაქტიკულად უწყლოდ დატოვებით გამოწვეულ ზეგავლენას სახეობებზე,“ - აღნიშნულია დოკუმენტში.

გარემოსდამცველების განცხადებით, კვლევის არაკომპეტენტურობას ისიც ამტკიცებს, რომ ფაუნის ჩამონათვალში საპროექტო არეალში არარსებული რეპტილიაც არის მითითებული.

„კვლევის არაკომპეტენტურობაზე მიუთითებს ისიც, რომ ფაუნის ჩამონათვალში მოხსენიებულია ხმელთაშუაზღვის კუ, რომელიც თეორიულადაც კი შეუძლებელია, ამ ადგილას ბინადრობდეს,“ - აცხადებენ „მწვანე ალტერნატივაში“.

გარემოსდაცვით ორგანიზაციაში მიაჩნიათ, რომ ჰესის მშენებლობამ შესაძლოა, უარყოფითი გავლენა იქონიოს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებაზეც.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის აუცილებელი წინაპირობა უნდა იყოს პროექტის აზომვითი ნახაზის გაკეთება და შედარება დაცული ტერიტორიის საზღვრებთან. 2010 წელს, „ხდისწყალი ჰესი“ ამოღებულ იქნა მინისტრის მიერ დამტკიცებული „საქართველოში განახლებადი ენერჯის პოტენციური წყაროების ნუსხიდან“ იმის გამო, რომ ჰესი მთლიანად ხვდებოდა ყაზბეგის ეროვნული პარკისა და გეგმარებით დაცულ ტერიტორიებზე. პროექტი იქონიებს ზეგავლენას ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებაზე. საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის არსებობს სპეციალური შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოებას და ამის შესახებ ხელმოწერილია კიდევ შესაბამისი ფინანსური ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება შეფერხებულია სწორედ ყაზბეგის რაიონში „დარიალის ჰესის“ და სხვა ჰესების მშენებლობის გამო,“ - აღნიშნულია დოკუმენტში.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ასევე არ არის შესწავლილი მდინარე ბროლისწყლის ჰიდროლოგიური მონაცემები.

„ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით, მთავარ პრობლემას ქმნის პროექტის შედეგად მდინარის ბუნებრივ კალაპოტში საშუალო მრავალწლიური ხარჯის მხოლოდ 10%-ის დატოვება და დანარჩენი წყლის ჰესის ტურბინებისკენ მიმართვა სადაწნეო მილით. ეს გამოწვეულია იმით, რომ საპროექტო ჰესის სიმძლავრე გაიზარდოს 6 მეგავატამდე. ეს საკითხი გარემოსთვის განსაკუთრებული საფრთხის შემცველია იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს მდ. ბროლისწყლის ჰიდროლოგიური მონაცემები. სხვა სიტყვებით - იმის ცოდნის გარეშე, თუ რა რაოდენობის წყალია მდინარეში, ჰესის გარკვეული სიმძლავრის დაგეგმვა ნიშნავს, რომ მისი აშენების შემთხვევაში, მდინარიდან აღებული იქნება იმდენი წყალი, რამდენიც საჭირო იქნება ტურბინების ამუშავებისათვის და არა იმდენი, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ არ მოხდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევადი დეგრადაცია,“ -

აცხადებენ გარემოსდამცველები.

გზმ ანგარიშში არ არის შეფასებული ასევე, რა ზეგავლენას იქონიებს პროექტი, განსაკუთრებით კი ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები გრუნტის წყლებზე.

ბროლისწყალის, იგივე ხდის ხეობა შეტანილი იყო „წითელ წიგნში“, როგორც ბუნების ძეგლი. „წითელ წიგნში“ აღნიშნულია, რომ ხდის მყუდრო ხეობა წარმოადგენს მრავალი იშვიათი სახეობის თავშესაფარს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“, სადაც ერთ-ერთ ბუნების ძეგლად განსაზღვრულია ხდისწყლის ხეობა.

„მწვანე ალტერნატივას“ შეფასებით, ანგარიში საერთოდ არ სცემს პასუხს კითხვებს: რა საჭიროა პროექტი? დგას თუ არა მისი განხორციელების აუცილებლობა? რა მიზანს ემსახურება ის? შესაძლებელია, თუ არა მიზნის მიღწევა ალტერნატიული საშუალებებით და რომელია მათ შორის ყველაზე მისაღები, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით? გზმ ანგარიშიდან არ ჩანს, როგორ მოხდება ჰესზე გამომუშავებული ელექტროენერჯის გადაცემა და რას მოხმარდება ის? მიიღებს, თუ არა სარგებელს კონკრეტულად ყაზბეგის რაიონი ან ქვეყანა.

გზმ ანგარიშში საერთოდ არ არის შეფასებული პროექტის შესაძლო კუმულაციური ზეგავლენის საკითხები სხვა არსებულ (ყაზბეგის ჰესი), მიმდინარე (დარიალის ჰესი და ლარსი ჰესი) და დაგეგმილ (თრუსო, კობი, თერგი, სნოსწყალი, ჯუთა, ჩხერი და ამალი ჰესები) პროექტებთან კავშირში, რასაც გარემოსდამცველები გზმ ანგარიშის სერიოზულ ნაკლად მიიჩნევენ.

არასამთავრობო ორგანიზაციები „მწვანე ალტერნატივა“ და „სტეფანწმინდა“ ჰესის მშენებელ კომპანიას ახალი ჰესის აშენების ნაცვლად, მის საკუთრებაში მყოფი „ყაზბეგი ჰესის“ რეაბილიტაციას და თანამედროვე დანადგარებით აღჭურვას ურჩევენ. როგორც ცნობილია, მდინარე ბროლისწყალზე უკვე არსებობს 1,5 მგვტ სიმძლავრის „ყაზბეგი ჰესი“, რომელიც ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიუყენებლად ფუნქციონირებს. ამორტიზებულობის გამო, ჰესი 300-400 კილოვატზე მეტ ენერჯიას ვერ გამოიმუშავებს.

Like

Tinatin Mosiashvili, Kety Gujaraidze and 63 others like this.

